

გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის 29 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 60%-მა აფილირებულმა და მოწვეულმა პროფესორ-მასწავლებელმა.

**იცნობთ თუ არა ონლაინ სწავლა-სწავლების სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტს?**

- დიახ - **39 (83%)**
- არა - **6 (13%)**
- არ ვიცი რომელ დოკუმენტზეა საუბარი - **1 (2%)**
- არ მაქვს პასუხი - **0**
- სხვა - **1 (2%)**

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- დიახ, ვიცნობ ყველა დოკუმენტს
- დიახ, ვიცნობ, რომელიც მიმაჩნია რომ კარგად პასუხობს დროის გამოწვევებს.
- დოკუმენტი არის მოქნილი
- ვფიქრობ, შერეული ტიპის სწავლება ყველაზე ეფექტური და მოქნილი იქნება
- ვფიქრობთ, რომ მუშაობის პროცესში სწავლების ეს ფორმა უფრო დაიხვეწება და იქცევა მუშაობის ყველასთვის (პროფესორისა და სტუდენტისთვის) მისაღებ ნორმად.
- საინტერესო გზამკვლევს წარმოადგენს. დისტანციურ სწავლებაში მეხმარებოდა.
- ძალიან კარგია და პასუხობს დროის გამოწვევას

**მიგაჩნიათ თუ არა, რომ ონლაინ სწავლების რეჟიმში სწავლა-სწავლების ხარისხი გაუმჯობესდა?**

- დიახ - **16 (35%)**
- არა - **22 (47%)**
- ვერავინ დამარწმუნებს, რომ ონლაინ სწავლა-სწავლების ხარისხი ოდესმე გაუმჯობესდება - **1 (2%)**
- არ მაქვს პასუხი - **2 (4%)**
- სხვა - **6 (12%)**

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- ამ შემთხვევაში ონლაინ სწავლება ერთ-ერთი გამოსავალი იყო.
- არ გაუარესებულა
- გაუმჯობესება იმდენად არა, რამდენადაც შესაძლებლობები გაიზარდა სტუდენტთათვის... ხელმისაწვდომობა
- მეტნაკლებად, ვინაიდან ვთვლი, რომ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ცოცხალი ლექციების რეჟიმში უფრო მიზანშეწონილია
- მიმდინარე პანდემიის პირობებში სტუდენტობა თავიდან მოუმზადებელი შეხვდა ონლაინ სწავლების პროცესს. საჭიროა ლიტერატურისა და ტექნიკური აღჭურვის სრულყოფა. ანალოგიური აზრი შეიძლება გამოითქვას პროფესორ-მასწავლებელთა მისამართითაც.
- სახლში ჩაკეტილი სტუდენტობა აქტიურად იყო ჩართული ლექციებში
- სწავლა- სწავლების ერთ-ერთ ფორმად მისაღებია.
- უფრო მრავალფეროვანი გახდა და სწავლა-სწავლების პროცესის მეტი შესაძლებლობები გამოავლინა
- შეიძლება ეს ფორმა უფრო დაიხვეწოს და გახდეს ბევრად ეფექტური. სადღეისოდ ის ვერ უტოლდებოდა სააუდიტორიო სწავლებას.

- ხარისხი არ გაუმჯობესებულა, მაგრამ მაქსიმალურად შენარჩუნდა ის რაც ადრე იყო.
- ხარისხი მაქსიმალურად შენარჩუნდა

**რამ განაპირობა ის, რომ სტუდენტთა მოსწრება ონლაინ სწავლების დროს უფრო მაღალია?**

- სამსახურს არიან მოწყვეტილინი - **15 (24%)**
- სახლში დარჩენის გამო - **30 (48%)**
- იმდენივე სტუდენტი მესწრება, რამდენიც პირისპირ სწავლებისას - **14 (22%)**
- არ მაქვს აზრი - **1 (2%)**
- სხვა - **3 (4%)**

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- ა/ საფრთხის დროს, ექსტრემალურ სიტუაციაში მომზადებული მასალა მეტ მნიშვნელობას იძენს. ბ/ სტუდენტის ყველა ხრიკი დისტანციურად რთული გამოსავლენია.
- ოჯახური პირობების გამო რომ ვერ ესწრებოდნენ ლექციებს ონლაინ რეჟიმში (ახალგაზრდა სტუდენტი დედები). ზოგი უფრო კარგად ახერხებდა ლექციაზე დასწრებას და დავალების შესრულებას
- თითქმის იმდენივე სტუდენტი აქტიურობს, რამდენიც პირისპირ სწავლებისას
- მეტი დრო აქვთ მეცადინეობისთვის...
- ონლაინ ლექციებზე მქონდა ინტენსიური დასწრება
- რაც წინა კითხვისას ვთქვი, ხელმისაწვდომობა და დროის მოქნილობა...
- საკუთარ თავზე სამუშაოდ მეტი დრო აქვთ.
- უმაღლეს სასწავლებლებში ონლაინ სწავლების ხარისხი ნამდვილად გაუმჯობესდა, პანდემიის პირობებში სახლიდან გაუსვლელი ახალგაზრდობა
- უმეტესობას საშუალება აქვს გადაიწეროს.

**პირადი თქვენი კარიერული განვითარების თვალსაზრისით, რა სარგებელი მოგიტანათ ონლაინ სწავლა - სწავლების რეჟიმმა?**

- ჩემი სალექციო თემატიკა გავხადე მთლიანად ელექტრონული - **21 (27%)**
- ლიტერატურა გავხადე ელექტრონული - **22 (28%)**
- სალექციო თემატიკის ვიდეო ჩანაწერებით შევქმენი ლექციების ბანკები - **17 (22%)**
- არანაირი სარგებელი არ მოუტანია - **3 (4%)**
- ასე მგონია, რომ სწავლა-სწავლების ცოცხალი რეჟიმი უფრო სასარგებლო იყო პროფესორისთვისაც - **15 (19%)**
- არ მაქვს აზრი - **0**
- სხვა - **0**

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- გავვიჩნდა სრული მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ და უფრო მოქნილი გავხადოთ სტუდენტებისთვის სწავლების ელექტრონული ფორმატი
- ლექციების ელექტრონული ბანკი შევქმენი და საინტერესო გავხადე სტუდენტებისთვის, თუმცა ვფიქრობ ლექციების ცოცხალი რეჟიმი მაინც უფრო ეფექტურია

- ტესტების შექმნა, ელექტრონული ლიტერატურა ყოველთვის საჭირო და აუცილებელია, რაც შეეხება ლექციებს, მისი "ლაივ" რეჟიმში ჩატარება მირჩევენია, რადგან სტუდენტთა ჩართულობა გაგებინების თვალსაზრისით უფრო მაღალია

**დაასახელეთ, სწავლების რომელი ახალი მეთოდი გამოიყენეთ ონლაინ სწავლა - სწავლების პირობებში, რომელიც ადრე არასდროს გამოიყენებიათ?**

- პირისპირ გამოკითხვა - **13 (19%)**
- დებატები - **11 (16%)**
- მასალის დაკონსპექტება - **9 (13%)**
- ონლაინ გამოცდის ჩატარება - **29 (45%)**
- არ მაქვს აზრი - **0**
- სხვა - **5 (7%)**

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- შუალედური გამოცდისთვის გამოვიყენე turnitin
- შუალედური გამოცდისთვის სტუდენტებმა გამოიყენეს moodle პლატფორმა და მათი ნაშრომები შემოწმდა პლაგიატზე.
- ჩამოთვლილთაგან ყველა მეთოდით მიხელმძღვანელია, გარდა ონლაინ გამოცდისა, თუმცა ესეც საინტერესო იყო

**რა პროფესიული უნარები შეგძინათ ონლაინ სწავლა - სწავლების რეჟიმში მუშაობამ?**

- ტექნოლოგიებს მეტად დავეუფლე - **23 (49%)**
- საერთოდ შემიზღუდა პროფესიული უნარები - **0**
- ინტერნეტს მოვერგე უკეთესად - **16 (34%)**
- არ მაქვს პასუხი - **6 (13%)**
- სხვა - **2 (4%)**

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- გარდა იმისა, რომ ტექნოლოგიებს უკეთ დავეუფლე, გავეცანი ევროპის ქვეყნების ონლაინ სწავლების ადრეული გამოცდილების შესახებ ლიტერატურას, მოვიძიე და შევკრიბე ჩემთვის საჭირო ელ.სამეცნიერო ლიტერატურა.

**რომ იყოს არჩევანი სამომავლოდ, რამდენად მხარს დაუჭერდით ონლაინ სწავლებას?**

- არ დავუჭერდი - **7 (13%)**
- ნეტავი იყოს ამის საშუალება უფრო ხშირად - **3 (5%)**
- დავუჭერდი იმ შემთხვევაში, თუ ის მომცემდა საშუალებას სამსახურებრივი მოვალეობის დროს არ გამეცდინა ლექციები - **12 (22%)**
- მხარს დავუჭერდი თუ სტუდენტების სურვილი იქნებოდა - **29 (54%)**
- არ მაქვს პასუხი - **1 (2%)**
- სხვა - **2 (4%)**

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- ასევე ვისურვებდი ონლაინ სწავლების პარალელურად ცოცხალი რეჟიმის გაგვეთვალისწინებინა
- მხარს ვუჭერ შერეული ტიპის სწავლებას

- ორივე ფორმატით ჩატარებას დავეუქვრდი მხარს, საჭიროებისამებრ
- სწავლების ერთადერთ ფორმად მუდმივად რა თქმა უნდა არა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში. იქნება ეს სტუდენტის მოთხოვნა, თუ სხვა მიზეზები, კარგია
- ჩემივე ლექციებს გამოვიყენებდი "სტოპ კადრებით". მექნებოდა განმარტებები, კომენტარები, ინტერაქტივი.
- ჰიბრიდული სისტემა იქნებოდა სასურველი

#### გამართლა თუ არა ონლაინ სწავლებამ?

- დიახ - **16 (34%)**
- არა - **1 (2%)**
- მეტნაკლებად - **29 (62%)**
- არ მაქვს პასუხი - **0**
- სხვა - **1 (2%)**

#### დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- ვფიქრობ გამართლა, სტუდენტები უფრო მონდომებულები გახდნენ და მეტი დაინტერესება გამოხატეს, ამასთანავე ცოცხალი ურთიერთობის სურვილიც ჰქონდათ
- სწავლის ჩართულობასა და დავალებების შესრულების მხრივ ნამდვილად გამართლა, მაგრამ ონლაინ გამოცდებისას თუ ის ტესტირებული არ იყო სტუდენტთა სინდისზე იყო დამოკიდებული მასალა იქვე შეასრულა თუ გადაიწერა
- სხვა გზა არ იყო და რა უნდა გვექნა? სამომავლოდ გაგვიჩნდა გამოცდილება.
- შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებლობების მაქსიმუმი გაკეთდა

#### რა იცით ნეტიკეტის შესახებ?

- არაფერი - **8 (17%)**
- პირველად მესმის - **2 (4%)**
- არ მაქვს მოსაზრება - **12 (25%)**
- სხვა - **25 (54%)**


#### დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- დისტანციური სწავლებისას ეტიკეტი. ნეტიკეტი დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოს მიერ და გაზიარებულია აკადემიური პერსონალის მიერ
- ეს არის ინტერნეტში ქცევის წესები, რომელიც თითოეულმა მომხმარებელმა უნდა დაიცვას.
- ეს არის ონაილ ქცევის წესები
- ინტერნეტით სარგებლობისას ეტიკეტის ნორმების საკითხს ეხება
- ინტერნეტის წესებია, რომელიც პროცესს ხდის ონლაინ მუშაობისას შეუფერხებელს
- ნეტიკეტი (ინტერნეტის ეტიკეტი) არის ონლაინ ქცევის წესების სახელმძღვანელო
- ნეტიკეტი არის ინტერნეტის ეტიკეთი- ონლაინ კომუნიკაცია ქცევის წესების შესახებ, მასზე სახელმძღვანელოც გამოსცა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა
- ონლაინ სწავლა - სწავლებისას წესების დაცვა იმისთვის, რომ პროცესი გახდეს ეფექტური
- ონლაინ სწავლების წესები
- ონლაინ ქცევის წესები, ინტერნეტ ურთიერთობების ეტიკეტი ... ლიტერატურას გავეცანი

- პირველად მესმის მაგრამ ვფიქრობ ეს ინტერნეტ ქსელის მოხმარების ეტიკეტთან არის დაკავშირებული
- სამწუხაროდ ხშირად არ ვიცავთ ნეტიკეტს
- წესებია, რომელიც უნდა დავიცვათ როგორც პროფესორმა ისე სტუდენტმა ონლაინ მუშაობისას


1. იცნობთ თუ არა ონლაინ სწავლა-სწავლების სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტს?

სულ: 47




2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ონლაინ სწავლების რეჟიმში სწავლა-სწავლების ხარისხი გაუმჯობესდა?

სულ: 47



3. რამ განაპირობებს ის, რომ სთუდენტთა მოსწრაზება ონლაინ სწავლების დროს უფრო მაღალია? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი და გამოთვალოთ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფაში 3.1.)


სულ: 63






4. პირადი თქვენი კარიერული ბანკითარების თვალსაზრისით, რა სარგებელი მოგიტანათ ონლაინ სწავლა - სწავლების რეჟიმმა? (შეგიძლიათ შემოახატოთ რამდენიმე პასუხი და გამოთვალეთ თქვენი აზრი თავისუფლად დიაგრამაში 4.1.)

სულ: 78




5. დაასახელეთ, სწავლების რომელი უხალი მეთოდი გამოიყენეთ ონლაინ სწავლა - სწავლების პირობებში, რომლის ადრე არასდროს გამოიყენებიათ? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე კასუსი და გამოთქვათ აზრი თავისუფლად ღია ბრაფაში 5.1))

სულ: 67




6. რა პროფესიული უნარები შეგიძინათ ონლაინ სწავლა - სწავლების რეჟიმში მუშაობამ?

სულ: 47



7. რომ იყოს არჩევანი სამომავლოდ, რაგვანად მხარს დაუჭერდით ონლაინ სწავლებას? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რაგვანივე კასუსი და გამოთქვათ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფში 7.1.)

სულ: 54



8. ბაზმართლს თუ არა ონლაინ სწავლებას? (შეგიძლიათ გამოთქვათ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფაში 8.1.)

სულ: 47

